სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 187

2022 წლის 5 ოქტომბერი

ქ. თბილისი

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2022 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

"გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის, „2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 2 აგვისტოს N146 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 5 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1229763) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართელოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 5 ოქტომბრის N187 ბრძანებით

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	AR-22-1784	კავკასიის უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, ასევე მთავრობის დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი- გ. ი. ჩართულია სამ პროექტში: ერთი მიმდინარე FR კონკურსში: FR-22-14060, ერთი მიმდინარე YS კონკურსში: YS-22-934 და მოცემულ კონკურსზე წარმოდგენილი აქვს პროექტი: AR-22-1784.
2	AR-22-695	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროექტში ჩართული სუბიექტები (იურიდიული პირები) არ არის შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტთან, ასევე კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტთან და მე-5 მუხლის მე-7 პუნქტთან.
3	AR-22-710	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, ასევე მთავრობის დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი-ზ. ყ. ჩართულია სამ პროექტში: ორ მიმდინარე პროექტში: YS-21-488, AR-18-271 და ამ კონკურსზე წარმოდგენილი აქვს პროექტი: AR-22-710.
4	AR-22-1317	სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, ასევე მთავრობის დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი- მ. ფ. ჩართულია სამ პროექტში: ერთი მიმდინარე CNR კონკურსში: CNR-22-011, ერთი მიმდინარე FR კონკურსში: FR-22-3829 და ამ კონკურსზე წარმოდგენილი აქვს პროექტი: AR-22-1317.
5	AR-22-790	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი, ასევე მთავრობის დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი-კ. მ. ჩართულია სამ პროექტში: ორი მიმდინარე FR კონკურსში: FR-22-13026, FR-22-665 და ამ კონკურსზე წარმოდგენილი აქვს პროექტი: AR-22-790.
6	AR-22-2525	საქართველოს უნივერსიტეტი	1. საპროექტო წინადადებასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მეორე პუნქტის ''ბ"); 2. ინტელექტუალური საკუთრების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის გ.ბ ნაწილი); 3. პარტნიოტი ორგანიზაციიდან თანხმობის წერილის მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ზ.ა. ნაწილი); 4. აუდიტორული დასკვნის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ზ.ბ. ნაწილი); 5. ცნობა თანადაფინანსების შესახებ მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ''თ" ქვეპუნქტი); 6. ძირითადი პერსონალის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ''დ" ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი); 7. პარტნიორი ორგანიზაციის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.

7	AR-22-3043	სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	ინტელექტუალური საკუთრების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის გ.ა ნაწილი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
8	AR-22-968	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1. საპროექტო წინადადებასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მეორე პუნქტის "ბ"ქვეპუნქტი; 2. ინტელექტუალური საკუთრების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის გ.ა ნაწილი); 3. ძირითადი პერსონალის ზ. ვ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი); 4. ძირითადი პერსონალის მ.ა. მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
9	AR-22-1307	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	1. ინტელექტუალური საკუთრების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის გ.ა ნაწილი); 2. ძირითადი პერსონალის გ. ლ. მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.